საინფორმაციო ფურცელი
საშვილოსნოს ყელის სკრინინგის შესახებ

Georgian

რა არის საშვილოსნოს ყელის სკრინინგ ტესტი?

საშვილოსნოს ყელის სკრინინგ ტესტი, თქვენი საშვილოსნოს ყელის ჯანმრთელობას ამოწმებს. საშვილოსნოს ყელი არის საშოდან საშვილოსნოში გამავალი არხი. საშვილოსნოს ყელის სკრინინგი, საშვილოსნოს ყელის კიბოსგან თავის დასაცავად, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

ეს არ არის კიბოს ტესტი. ეს არის ტესტი, რომელიც კიბოს განვითარების **თავიდან აცილებაში** გვეხმარება.

ეს არის საშვილოსნოს ყელის კიბოსგან დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. ასე რომ, ნუ გადადებთ საშვილოსნოს ყელის სკრინინგ ტესტის დროულად ჩატარებას.

რა არის საშვილოსნოს ყელის HPV (ადამიანის პაპილომა ვირუსი) სკრინინგი?

ეს საშვილოსნოს ყელის სკრინინგის **ახალი** მეთოდია. მას ჰქვია HPV საშვილოსნოს ყელის სკრინინგი და ირლანდიაში ის 2020 წელს დაინერგა. საშვილოსნოს ყელის სკრინინგის ეს ტიპი უკვე დანერგილია ავსტრალიაში, ნიდერლანდებში, ინგლისსა და უელსში. თქვენი საშვილოსნოს ყელის სკრინინგის ნიმუში, პირველად შემოწმდება ადამიანის პაპილომავირუსზე (HPV) - ვირუსზე, რომელსაც საშვილოსნოს ყელის კიბოს გამოწვევა შეუძლია.

თუ HPV აღმოჩენილია, იგივე ტესტის ნიმუში შემოწმდება, რათა დადგინდეს, გაქვთ თუ არა რაიმე პათოლოგიური (სიმსივნემდელი) უჯრედული ცვლილებები საშვილოსნოს ყელში.

სკრინინგის ეს მეთოდი:

- საშვილოსნოს ყელის სკრინინგის საუკეთესო საშუალებაა
- ხელს უშლის კიბოს დაავადებებს
- ნიშნავს, რომ ზოგიერთ ადამიანს, ნაკლები ტესტი ჩაუტარდება

თუ ადრე გაგიკეთებიათ ნაცხის ტესტი, საშვილოსნოს ყელის სკრინინგ ტესტისას, იგივე შეგძნება გექნებათ.

როგორ კეთდება საშვილოსნოს ყელის HPV სკრინინგ ტესტი?

სკრინინგ ტესტს ჩვეულებრივ, დაახლოებით 5 წუთი სჭირდება.

1. მოგეთხოვებათ წელიდან ქვემოთ გაიშიშვლება და დივანზე დაწოლა.
2. შეგიძლიათ დაწვეთ გვერდზე, ან ზურგზე, რაც უფრო კომფორტული იქნება თქვენთვის.
3. ექიმი ან ექთანი, ნაზად ჩააყენებს თქვენს საშოში ინსტრუმენტს, რომელსაც ეწოდება სპეკულუმი. ეს საშოს კედლებს ღიად დატოვებს, რაც მათ თქვენი საშვილოსნოს ყელის დანახვის საშუალებას მისცემს.
4. საშვილოსნოს ყელის უჯრედების ნიმუშის ნაზად შესაგროვებლად, პატარა, რბილი ფუნჯი გამოიყენება.

ზოგიერთი ადამიანი მიიჩნევს, რომ პროცედურა არასასიამოვნო ან უხერხულია, მაგრამ უმეტესობისთვის ეს არ არის მტკივნეული. თუ ტესტი მტკივნეულად მიგაჩნიათ, აცნობეთ ექიმს ან მედდას, რადგან მათ თქვენი დისკომფორტის შემცირება შეუძლიათ.

რა სარგებელი მოაქვს საშვილოსნოს ყელის სკრინინგს?

HPV საშვილოსნოს ყელის რეგულარული სკრინინგი:

- გადაარჩენს სიცოცხლეს
- შეუძლია HPV-ის აღმოჩენა მანამ, სანამ ის საშვილოსნოს ყელის არანორმალური უჯრედების წარმოქმნას გამოიწვევს
- სიმპტომების განვითარებამდე, უჯრედების პათოლოგიური ცვლილებების აღმოჩენა შეუძლია
- შეუძლია აღმოაჩინოს უჯრედების პათოლოგიური ცვლილებები, როდესაც მათი მკურნალობა უფრო ადვილია

HPV და პათოლოგიური უჯრედების ადრეული აღმოჩენა, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების თავიდან ასაცილებლად, საუკეთესო საშუალებაა.

ამიტომ, რეგულარული სკრინინგ ტესტების ჩატარება მნიშვნელოვანია.

რა შეზღუდვები აქვს საშვილოსნოს ყელის სკრინინგს?

საშვილოსნოს ყელის სკრინინგის ძირითადი შეზღუდვებია:

- საშვილოსნოს ყელის სკრინინგი, საშვილოსნოს ყელის კიბოს ყველა შემთხვევას, ხელს ვერ შეუშლის
- ზოგიერთ ადამიანს, საშვილოსნოს ყელის კიბო, რეგულარული სკრინინგის მიუხედავად, მაინც განუვითარდება.
- ზოგიერთი პათოლოგიური უჯრედის ცვლილების გამორჩენა შესაძლებელია
- სკრინინგი ყველა პათოლოგიურ უჯრედულ ცვლილებას ვერ აღმოაჩენს
- ზოგჯერ ტესტის შედეგები არ არის ზუსტი

რა ბედი ეწევა ჩემს ნიმუშს?

თქვენი ნიმუში ხარისხის გარანტიის მქონე ლაბორატორიაში (ლაბ) გაიგზავნება. ლაბორატორიაში თქვენი ნიმუში შემოწმდება იმის დასადგენად, გაქვთ თუ არა HPV ინფექცია. თუ აქტიური HPV ინფექცია გაქვთ, ორი ექსპერტი თქვენს ნიმუშს, უჯრედული ცვლილებების აღმოსაჩენად შეისწავლის. თუ ისინი აღმოაჩენენ რაიმე

ცვლილებას, დაგჭირდებათ შემდგომი ტესტი, რომელსაც კოლპოსკოპია ეწოდება. კოლპოსკოპია არის თქვენი საშვილოსნოს ყელის უფრო დეტალური დათვალიერება.

რატომ ხდება ზოგიერთი პათოლოგიური უჯრედის ცვლილების გამორჩენა?

თქვენი ნიმუში ჯერ HPV-ზე შემოწმდება. თუ HPV გამოვლინდა, ის არანორმალურ უჯრედებზეც შემოწმდება.

მაგრამ ყველას, ვისაც საშვილოსნოს ყელის კიბო უვითარდება, სკრინინგის დროს HPV შეიძლება არ აღმოაჩნდეს.

უარყოფითი HPV ტესტი - ის, რომელმაც HPV ვერ აღმოაჩინა - ასევე არ გამორიცხავს მომავალში ინფიცირებას.

უჯრედების ანომალიური ცვლილებები ზოგჯერ გამოტოვებულია, რადგან:

- ზოგჯერ პათოლოგიური უჯრედები, შეიძლება ნორმალური უჯრედებივით გამოიყურებოდეს.
- ნიმუშში შეიძლება იყოს ძალიან ცოტა პათოლოგიური უჯრედი
- პირს, რომელიც თქვენს ნიმუშს კითხულობს, შეიძლება ანომალიური უჯრედები (ეს ხდება ხანდახან, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გამოცდილია ის) გამორჩეს.

სკრინინგ პროგრამაში, ვერცერთი ტესტი დაადგენს ყველა ადამიანს, რომელსაც საშვილოსნოს ყელის ანომალიური უჯრედები აქვს.

საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებას, მრავალი წელი სჭირდება. უმეტეს შემთხვევაში, ნორმალურიდან ანომალიურ და ბოლოს, კიბოს უჯრედების განვითარებას, 10-დან 15 წლამდე სჭირდება.

სწორედ ამიტომ, ყოველთვის უნდა ჩაიტაროთ საშვილოსნოს ყელის სკრინინგ ტესტი, როცა ამის დრო მოვა.

საინფორმაციო ფურცელი
საშვილოსნოს ყელის სკრინინგის შესახებ

Georgian

როგორ გავიგო ჩემი ტესტის შედეგები?

თქვენს შედეგებს გამოგიგზავნიან ფოსტით, როგორც წესი, ტესტის გაკეთებიდან 4 კვირის განმავლობაში. ისინი ასევე გაიგზავნება თქვენს თერაპევტთან (ექიმთან), ან კლინიკაში.

რას ნიშნავს ჩემი ტესტის შედეგები?

არსებობს ოთხი შესაძლო შედეგი.

1. HPV აღმოჩენილი არ არის

თქვენი შედეგები აჩვენებს, რომ ამ დროისთვის არ გაქვთ HPV ინფექცია. საშვილოსნოს ყელის შემდეგი სკრინინგ ტესტის გავლა, თქვენი ასაკის შესაბამისად, 3 ან 5 წელიწადში მოგიწევთ.

2. HPV აღმოჩენილია, უჯრედების პათოლოგიური ცვლილებები კი აღმოჩენილი არ არის.

თქვენი შედეგები აჩვენებს, რომ თქვენ გაქვთ HPV ინფექცია, **მაგრამ** უჯრედების პათოლოგიური ცვლილებები არ გამოვლენილა. თქვენ უნდა გაიაროთ განმეორებითი ტესტი 12 თვეში. ეს თქვენს სხეულს, HPV ინფექციისგან გაწმენდისთვის საჭირო დროს მისცემს.

3. ნაპოვნია HPV და აღმოჩენილია უჯრედების პათოლოგიური ცვლილებები

თქვენი შედეგები აჩვენებს, რომ გაქვთ HPV ინფექცია და საშვილოსნოს ყელის ანომალიური უჯრედული ცვლილებები. თქვენ გჭირდებათ შემდგომი ტესტი, რომელსაც ეწოდება კოლპოსკოპია - თქვენი საშვილოსნოს ყელის უფრო დეტალური დათვალიერება. ეს საშვილოსნოს ყელის სკრინინგს ჰგავს.

4. არაადეკვატური ნიმუში

ეს ნიშნავს, რომ ლაბორატორიამ ვერ დაამუშავა თქვენი სკრინინგ ტესტის ნიმუში. თქვენ მოგეთხოვებათ, საშვილოსნოს ყელის სკრინინგი სამი თვის განმავლობაში გაიმეოროთ.

თანხმობის მიცემა

ყოველ ჯერზე, როდესაც საშვილოსნოს ყელის სკრინინგ ტესტს გაივლით, ჩვენ მოგთხოვთ თქვენი თანხმობის გაცემას ტესტის ჩატარებამდე, საშვილოსნოს ყელის სკრინინგის ფორმაზე ხელმოწერით. თუ ფორმას ხელს ვერ მოაწერთ, მოგეთხოვებათ თანხმობა ზეპირად, ან ექიმის ან მედდის წინაშე, ფორმაზე აღნიშვნის გაკეთებით.

ეს იმის დასადასტურებლადაა საჭირო, რომ თქვენ:

- მიიღეთ ინფორმაცია საშვილოსნოს ყელის სკრინინგის და მისი უპირატესობებისა და შეზღუდვების შესახებ.
- გესმით ეს ინფორმაცია
- შეამოწმეთ, რომ თქვენი სახელი, მისამართი და სხვა დეტალები სწორია (ეს საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ, რომ თქვენთან დასაკავშირებლად, თქვენი ამჟამინდელი მისამართი გვაქვს).
- საშუალებას მოგვცემს, მივიღოთ, შევინახოთ და გავცვალოთ თქვენი პერსონალური ინფორმაცია და სკრინინგის ისტორია მათთან, ვინც უზრუნველყოფს HPV საშვილოსნოს ყელის სკრინინგის პროგრამას.

გახსოვდეთ: მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ განაცხადოთ თანხმობა, რომ იყოთ ჩვენი პროგრამის მონაწილე. უნდა დაეთანხმოთ, სანამ ჩაგიტარდებათ სკრინინგ ტესტი. თქვენ შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს გააუქმოთ თქვენი თანხმობა, უფასო ტელეფონის ნომერზე დარეკვით **1800 45 45 55**, ან ელექტრონული ფოსტით **info@cervicalcheck.ie**

ეს ნიშნავს, რომ მომავალში, საშვილოსნოს ყელის სკრინინგის პროგრამის თაობაზე არ დაგიკავშირდებით.

როგორ ვიყენებთ თქვენს პირად ინფორმაციას?

CervicalCheck იღებს და უსაფრთხოდ ინახავს თქვენს პირად ინფორმაციას (სახელი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, დაბადების თარიღი, PPSN, გვარი დაბადებისას და დედის ქალიშვილობის გვარი) და საშვილოსნოს ყელის სკრინინგის ისტორიას. თქვენი საშვილოსნოს ყელის სკრინინგის ისტორია, CervicalCheck-ში თქვენს მონაწილეობას უკავშირდება.

ეს შეიძლება შეიცავდეს საშვილოსნოს ყელის HPV სკრინინგის შედეგებს, კოლპოსკოპიაზე დასწრებას, მკურნალობას და ბიოპსიის (ტესტი ნიმუშის) შედეგებს.

თქვენს ინფორმაციას თქვენთან დასაკავშირებლად გამოვიყენებთ, როდესაც თქვენი მომდევნო სკრინინგის ტესტის დრო მოვა, ან როცა თქვენი შედეგები ხელმისაწვდომი გახდება. ჩვენ ასევე ვცვლით თქვენს ინფორმაციას ჯანდაცვის სხვა სამსახურებთან, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას. ეს მოიცავს ექიმს ან მედდას, რომელიც ატარებს თქვენს სკრინინგ ტესტს, ლაბორატორიას, კოლპოსკოპიის კლინიკებს და ირლანდიის კიბოს ეროვნულ რეესტრს. ეს საჭიროა მომსახურების ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის.

ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ თქვენი სკრინინგ ტესტის ნიმუში სწავლებისას,

მიმოხილვის და აუდიტის დროს და პროგრამის ხარისხისა და ეფექტურობის შესამოწმებლად. თქვენი ინფორმაცია ასევე შეიძლება გამოვიყენოთ, რათა კვლევაში მონაწილეობის მისაღებად მიგიწვიოთ.

თქვენი ასარჩევია, მიიღებთ თუ არა სკრინინგში მონაწილეობას. ჩვენ არასოდეს გამოვიყენებთ თქვენს სახელს ანგარიშებში, სწავლებისას, ან მიმოხილვისას.

თქვენს პერსონალურ ინფორმაციას უსაფრთხოდ, დაცულად და კონფიდენციალურად შევინახავთ, მონაცემთა დაცვის მიმდინარე რეგულაციების შესაბამისად.

თქვენ გექნებათ სრული და ღია წვდომა თქვენს პერსონალურ ინფორმაციაზე, რომელიც CervicalCheck-თან ინახება. მნიშვნელოვანია, რომ აცნობოთ CervicalCheck-ს, თუ თქვენი მონაცემები შეიცვლება. თქვენს ჩანაწერებზე წვდომისთვის, იხილეთ **hse.ie/gdpr/data-requests/**

დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ HSE კონფიდენციალურობის შეტყობინება – პაციენტები და სერვისის მომხმარებლები, მისამართზე **hse.ie/gdpr/**

თქვენთან დაკავშირება

ჩვენ დაგიკავშირდებით ღიად, გულწრფელად, დროულად და გამჭვირვალედ, თუ:

- თქვეს მკურნალობაში რაღაც არასწორად წარიმართება
- მკურნალობისას თქვენ დაზარალდებით
- ვფიქრობთ, რომ ზიანი შეიძლება მომხდარიყო

ეს ნიშნავს, რომ საშვილოსნოს ყელის სკრინინგის პროგრამაში, თქვენი მონაწილეობის შესახებ ფაქტებსა და დეტალებს, სრულად გაგაცნობთ.

როდესაც თქვენი შედეგები გვექნება, მათ გამოგიგზავნით დამატებით ინფორმაციასთან ერთად იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ისინი. თქვენ ასევე შეგიძლიათ, იხილოთ მეტი ინფორმაცია **hse.ie/cervicalcheck-ზე**

CervicalCheck
AN CLÁR NÁISIÚNTA SCAGTHÁSTÁLA CEIRBHEACS
THE NATIONAL CERVICAL SCREENING PROGRAMME

საშვილოსნოს ყელის სკრინინგი ფორმა

Georgian

არასრული ფორმები შეიძლება დაბრუნდეს.
გთხოვთ, გადაამოწმოთ კლიენტთან, სწორია თუ არა ფორმის ყველა დეტალი.
შემოწმების შემდეგ, გთხოვთ, ფლაკონის ნომრის ეტიკეტი, ნიმუშის ფლაკონიდან ამოიღოთ და ფორმას დაურთოთ.

ფლაკონის ნომერი:

კლიენტის დეტალები

	ნომერი	წერილები
საჯარო სამსახურის პირადი ნომერი		
CSP ID		
საავადმყოფოს ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		

დაბადების თარიღი: დღე ☐☐ თვე ☐☐ წელი ☐☐

ჯანმრთელობის ინდივიდუალური იდენტიფიკატორი (IHI)

თქვენი მონაცემების შევსებისას, გვარი დიდი ასოებით ჩაწერეთ

სახელი

ორე სახელი

არი დაბადებისას

დედის ქალიშვილობის გვარი

საფოსტო მისამართი მიმოწერისთვის

ეირკოდი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

გთხოვთ შეამოწმოთ, რომ თქვენი ზემოთ მოცემული მონაცემები

მე მესმის ჩემთვის მოწოდებული ინფორმაცია და თანახმა ვარ, მივიღო მონაწილეობა CervicalCheck-ში

კლიენტის ხელმოწერა: _____

CervicalCheck არ იღებს მესამე მხარის თანხმობას.

ექიმი / მედდა

ექიმის / მედდის სახელი:

პრაქტიკა/კლინიკა:

მისამართი:

ექიმის / მედდის ID: (MCRN ან NMBI ნომერი)

ტელეფონის ნომერი

პასუხისმგებელი ექიმის ID ან კლინიკის ID (MCRN)

ტესტის თარიღი: დღე ☐☐ თვე ☐☐ წელი ☐☐ LMP: დღე ☐☐ თვე ☐☐ წელი ☐☐

შესაბამისი კლინიკური დეტალები (გთხოვთ მონიშნოთ საჭიროებისამებრ)

OCP/ჰორმონები/HRT ☐ IUCD ☐ პოსტმენოპაუზის ☐
HPV ვაქცინირებული ☐ კოლპოსკოპიის შემდგომი ნაცხი ☐
სუბ-ტოტალური / სრული ჰისტერექტომია ☐
ტრანსპლანტაციის წინა/შემდგომი ☐ დიალიზი ☐ DES ☐ CD4i ☐
პოსტკოიტალური სისხლდენა ☐ სისხლდენა მენოპაუზის შემდეგ ☐
ნიმუშის აღების ადგილი: საშვილოსნოს ყელი ☐
საშოს თაღი (ტოტალური ჰისტერექტომიის შემდგომ) ☐

ნაცხის ამღებმა უნდა შეასრულოს მთელი საშვილოსნოს ყელის ვიზუალიზაცია და სინჯის სწორად ასაღებად, სინჯის ასაღები საშუალება 5-ჯერ 360°-ით მოაბრუნოს. ნიმუშის წარდგენა არის იმის დადასტურება, რომ ეს გაკეთდა.

სკრინინგის ისტორია

ლაბორატორიის სახელი	ტესტის თარიღი	ციტოლოგიის შედეგი	HPV შედეგი

მკურნალობის ისტორია

კლინიკის დასახელება	თარიღი	პროცედურა	შედეგი

მხოლოდ ლაბორატორიაში გამოსაყენებლად

ლაბორატორიაში მიღების თარიღი: დღე ☐☐ თვე ☐☐ წელი ☐☐

ნიმუშის სარეგისტრაციო ნომერი:

შტრიხკოდი

TZ უჯრედები: დიახ ☐ არა ☐

საბოლოო ანგარიში

ხელმძღვანელობის რეკომენდაცია

1° 2°

გზა

მოხსენების თარიღი: დღე ☐☐ თვე ☐☐ წელი ☐☐

ხელმოწერა: დღე ☐☐ თვე ☐☐ წელი ☐☐

Sample